ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოდიში

1990
სამშაბათი
7
აგვისტო
№94 (10351)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იხილავენ საარჩევნო კანონის პროექტს

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის პროექტი შეიცავს რიგ ისეთ მომენტებს, რომლებიც მიმდინარე გარდაქმნის სულისკვეთებას ესადაგება. კანონის მეორე მუხლი, რომელიც ეხება საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ყურადღებას იქცევს აღნიშნული დებულების ახლებური გააზრებით. მაგალითად, მითითებულია, რომ არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 23 წელი შეუსრულდა და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, საქმიანობის სახეობებისა და ხასიათის მიუხედავად. თვით ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობა სავალდებულოა, მრავლისმთქმელია. ბუნებრივია, პიროვნება, რომელიც ერ კითხულობს და ვერ აზროვნებს ქართულად, საქართველოს ბედის გამგებლად ვერ გამოდგება. ასეთი და სხვა აქცენტები აღნიშნულ დოკუმენტს რეალურსა და მისაღებს ხდის.

ინტერესს იწვევს

შ. გუგუშვილი,
პენსიონერი პედაგოგი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
გრძანებულება
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს, მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთექვსმეტე სესია 1990 წლის 17 აგვისტოს ქ. თბილისში.

სესიის დღის წესრიგშია, საკითხი —საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 27 ივლისი.

არ მოკლებოდეს...

რაიონის მექანიზატორთა პირველმა თაობამ, როგორც იტყვიან „საბრძოლო წვრთნა“ მიიღო ინგირის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორ აკაკი შულაიასთან. ტექნიკაზე შეყვარებულმა პიროვნებამ ასწავლა მათ, რომ საქმე მარტო საქმის ტრიალი კი არ არის, არამედ საჭიროა ტექნიკის ღრმა ცოდნა, „ატკივდება“ რომე, იმავე წუთში უნდა „უწამლო“, მოუარო პირმშოსავით, სამაგიეროდ ისიც გაგიწევს სათანადო სამსახურს. სწორედ მისი მუშაობის პერიოდში გაიკვლეს პლანტაციებისაკენ გზა „წითელმა ხომალდებმა“. მას უამრავი მოწაფე ყავდა. ყველა მათგანს დღესაც ახსოვთ ბატონი აკაკის აკურატულობა, მაღალი პასუხისმგებლობა, დიდი ადამიანობა.

წლები ხომ სწრაფად გადიან და... ამ დაფასებულ კაცს, ოთხმოცი წელი შეუსრულდა, აქედან 60 მან მექანიზაციის დანერგვის საქმეს მოახმარა. იგი დღესაც, იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, ახალგაზრდული შემართებით მუშაობს ახალსოფლის კოლმეურნეობაში იურისტკონსულტად.

ყველას უხარია მასთან შეხვედრა, განსაკუთრებით კი მექანიზატორებს, რომელთა „მამაა“ აკაკი შულაია.

ბ. ახათიანი.

პირობა გაამართლეს

არენდით მომუშავე ახალბასთუმნის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა (არენდატორი ტარიელ გაბედავა) იელოსის ბოლოსათვის 50 ტონის ნაცვლად აწარმოეს 66 ტონა რძე, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდში მიღებულს 4,5 ტონით აღემატება. ასევე, გადამეტებით იქნა შესრულებული რძის სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალება, ნაცვლად 48 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 56 ტონა რძე, ანუ შარშანდელ დონესთან შედარებით 4,6 ტონით მეტი.

შესრულებულია ხორცის წარმოებისა და ჩაბარების დავალებებიც.

მეარენდეები ამართლებენ პირობას.

იქნებ მოხერხდეს

არჩევნების შესახებ კანონი კომპეტენტური პირების კოლექტიური შრომის ნაყოფია. მასში აისახება იმ ცვლილებების კვალი, რაც ამ ბოლო დროს მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე, ადამიანთა ცნობიერებაში, დამოკიდებულებებში. სასიამოვნოა, რომ კანონპროექტის ავტორთა ხელწერა განსხვავებულია წინა წლებში დამუშავებული ანალოგიური ტიპის დოკუმენტის შექმნელთა სტილისაგან. იგრძნობა ძველი სტერეოტიპების; დოგმების დაძლევის, პროგრესული შეფასებების დამკვიდრების მისწრაფება. მე კანონის სხვა მუხლების კომენტარისაგან თავს ვიკავებ, ოღონდ გამოვთქვამ ასეთ სურვილს: ერთ ვარიანტში მითითებულია ტერმინი — საქართველოს უზენაესი საბჭო. ხოლო მეორე დოკუმენტის სახელწოდებაში გამოტანილია ტერმინი: საქართველოს სსრ კანონი; იქნებ მოხერხდეს ამგვარი შეუსაბამობის დაძლევა?

ბ. შენგელია,
ინჟინერი.

ეს ახლებური მიდგომაა

კანონის პროექტი თავისებურად წყვეტს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯების საკითხს. ნათქვამია, რომ მას სახელმწიფო გაიღებს, მაგრამ იქვე მითითებულია სრულიად ახლებური, არასტანდარტული გააზრება აღნიშნული პრობლემისა. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ თავისი სახსრები, საქართველოს მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივ მოძრაობათა შეწირულობანი. ეს სრულიად ახალი, დემოკრატიული მექანიზმია, რაც გაცილებით უფრო სრულყოფილს გახდიან საარჩევნო კამპანიას.

უ. ლატარია,
ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის დირექტორი.

დავალება—გადამეტებით

რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მსხვილფეხა საქონლის ფერმის (ბრიგადირი ხუტა ლაგვილავა) მუშაკებმა, კარგად იშრომეს მიმდინარე წელს. მათ გადამეტებით შეასრულეს რძის წარმოების ნახევარი წლის სახელმწიფო დავალება. 1510 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 1555 ცენტნერი რძე. სახელმწიფოს 1400 ცენტნერის ნაცვლად ჩაბარდა 1473 ცენტნერი.

ამაში მწველავების, მედიკოგულუასა და იზო გელენიძის დიდი წვლილია.

კოლმეურნეობამ შეასრულა ხორცის წარმოებისა და ჩაბარების დავალება, მაგრამ დააკლეს ინდივიდუალურმა ჩამბარებლებმა.

მწვანე გზა — არენდულ შრომას!
გაიპიროვნეს

ჩხორის კოლმეურნეობაში შრომის არენდული ფორმის დანერგვის პიონერს ყორა ფიფიას მიმდევრები გამოუჩნდა. ამავე კოლმეურნეობის № 7 ბრიგადა, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ახალგაზრდა აგრონომი ბესიკი სოსელია, გადავიდა არენდულ მუშაობაზე.

მათ სარგებლობაში ხელშეკრულებით გადეცათ 5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 2 ჰექტარი ხახიმინდე ფართობი და 5 ჰექტარი ტუნგის პლანტაცია.

მეარენდე მეჩაიეებმა, აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს დაამზადონ 50 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

როგორც ყველგან, აქაც გვიან დაიწყო პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა, გადაიწია ვადებმა, მაგრამ მონდომებული შრომით მიღწეულია გარკვეული წარმატებები. მეარენდეებმა შეასრულეს მაის-ივლისის დავალება.

აგროღონისძიებების მიხედვით დამუშავდა საყანე ფართობი, დაითესა სიმინდი სამარცვლედ. დროულად დამთავრდა მეორე გათხნა, დამუშავდა ტუნგის პლანტაციები.

ბ. ანდრიაძე.

დღეს ჩაის ფრონტზე
ახლოა ფინიში

ახალკახათის კოლმეურნეობის ხელით მკრეფავ-მეჩაიეთა ექვსივე ბრიგადა და ერთი მობილური რგოლი დროულად შეუდგა ნედლეულის დამზადებას. დღეისათვის მრეწველობას ჩაბარდა 800 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ წლიური დავალების 93,5 პროცენტი.

მექანიზატორებს ვალიკო და ოთარ ფიფიებს დამზადებული აქვთ 85 ტონა ნედლეული.

ყურადღება ეთმობა ფოთლის ხარისხს. მოკრეფილ ნედლეულში 53,6 პროცენტი პირველი ხარისხისაა. დღიური კრეფა 10-12 ტონას აღემატება.

მეჩაიეთა ვალდებულებაა წლიური გეგმის შესრულება 15 აგვისტოსათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო ძალისხმევა — ერთი მიზნისათვის

დღევანდელ გართულებულ სიტუაციაში, ღირებულებათა გადაფასების ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებთან ურთიერთობას. დემოკრატიზაციის ცნებამ ყველანი უნდა ჩაგვაფიქროს, რათა აჩქარების გარეშე, ემოციების მოუხმობლად ვაკეთოთ ერის საქმე. ამ კუთხით დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ კომუნისტებთან ურთიერთობას, რომელთა ნაწილი დღეს დაბნეულია და ცხოვრების სწორი ორიენტირების პოვნა უჭირს.

ასე. დაიწყო ხაუბარი ინგირის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც პარტკომის მდივანმა კ. ყალიჩავამ განსახილველად გამოიტანა საწევრო ანარიცხების აკრეფა-ჩაბარების საკითხი. როგორც მემცენარეობის საამქრო პირველადი ორგანიზაციის მდივანმა ს. გულუამ განაცხადა, კომუნისტების ნაწილი უარს ამბობს საწევროს გადახდაზე. დღევანდელ დაძაბულ ვითარებაში, როცა პარტიის შემდგომ ბედზე აზრთა სხვადასხვაობაა, ძნელია ადამიანებს დამაჯერებელი ენით ელაპარაკო. მაგრამ საწევროს გადაუხდელობა პროტესტის უხერხული ფორმაა. მით უფრო ახლა, როცა გამოქვეყნდა პარტიის წესდება და მასში ერთ-ერთ მუხლად შეტანილია საწევრო შესატანის მაქსიმალური შემცირება. თუ კომუნისტს ორგანიზაციაში ყოფნა სურს, იგი წესდებით გათვალისწინებული კოდექსით უნდა ხელმძღვანელობდეს. ან არის არჩევანის საშუალებაც — განცხადების საფუძველზე დატოვოს პარტიის რიგები. ამით ხელი შეეწყობა პარტიაში დარჩენილთა ახალ პლატფორმაზე დადგომას, მათი თვითპასუხისმგებლობის ამაღლებას.

სხდომაზე გაიმართა საღი კამათი, რომელიც იმის გარანტიას გვაძლევს, რომ საერთო ძალისხმევა წარიმართება სოფლის საკეთილდღეოდ.

ჯ. ფილფანი.

№ 4 ბრიგადა, რომელსაც არენდატორი მურმან ძიმციშვილი უძღვება, ერთ-ერთი მოწინავეა ჩხორის კოლმეურნეობაში. ისინი გადამეტებით ასრულებენ დავალებებს.

117 ტონა ჩაისათვის ლაშქრობა გრძელდება.

სურათზე: მარცხნიდან: — მეარენდე ბრიგადირი მურმან ძიმციშვილი მოწინავე მეჩაიეებთან: ნათელა ბერულავასთან, ჯულიეტა ყუფუნიასთან და დინარა ბერულავასთან.

აკ. ყუფუნიას ფოტო.

ფერილი რედაქციას

საერთოდ, სოფელს დღეს ბევრი მოსაგვარებელი პრობლემა აქვს. რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ. უგზობა თუ ტრანსპორტის უხეირო მოძსახურება, გაზით მომარაგებაში წყვეტილობა თუ ბენზინის დეფიციტი, ელექტროენერგიის ხშირი გამორთვები თუ ხელმოწერილებისათვის ჟურნალ-გაზეთების დაგვიანებით მიწოდება. უკლებლივ ყველა ეს პრობლემა გვაწუხებს ჩვენი უბნის მშრომელებს, მაგრამ ყველაზე მეტად პურითა და სხვა სასურსათო პროდუქტებით მომარაგებაში არსებულმა მდგომარეობამ ძალზე შეაწუხა საგარდაოს უბნის მცხოვრებლები.

საგარდაო სოფლის ცენტრს ერთ-ერთი ყველაზე დაშორებული უბანია ციაშში. მართალია, შორს კი ვართ, მაგრამ არავის ჩამოვრჩებით შრომაში, და ჩვენც სამართლიანად მოვითხოვთ მეტ ყურადღებას, დახმარებას და თანადგომას.

საგარდაოს უბანს ემსახურება დამტარი მაღაზია, რომელიც გვამარაგებს პურით და სხვა სასურსათო პროდუქტებით. მაგრამ ვინ ასეთ მომსახურებას. ბენზინის უქონლობის გამო ავტომანქანა ხან გამოჩნდება, ხან არა. ვდგავართ თაკარა მზისქვეშ, და ველოდებით მის გამოჩენას.

დღევანდელ ვითარებაში, როცა ბენზინის და საერთოდ ყოველგვარი საწვავის ასეთი დეფიციტია, გვესმის რა გასაჭირი ადგათ მძღოლებს და საავტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ სოფლის ცენტრს დაშორებულმა მშრომელებმა, რამდენი კილომეტრი უნდა ვიაროთ პურისა და სხვა აუცილებელი საჭირო პროდუქტების შესაძენად. ჩვენს უბანში თითო-ოროლა მცხოვრები ფლობს მსუბუქ ავტომანქანას, მაგრამ თუნდაც ყველა ფლობდეს, ბენზინი სადღაა?

პატივცემულო რედაქცია, იქნებ თქვენ მაინც მიაწვდინოთ ჩვენი ხმა და გულისტკივილი იმათ, ვისაც სოფლის ამ დაშორებულ უბანში ერთი პატარა სასურსათო მაღაზიის აშენება ევალება და შეუძლია კიდეც ამისათვის კი ადგილი აქ თავისუფლად გამოიძებნება.

თუ ადგილის შერჩევაზე მიდგება საქმე, საგარდაოს უბნისა და მის ახლომახლო მცხოვრებს ყველაზე მეტად აწყობს მაღაზია აშენდეს იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმის მიდამოებთან. თუ ეს საქმე დადებითად გადაწყდება, ეს იქნება ყველაზე დიდი საჩუქარი საგარდაოს უბნის მცხოვრებლებისათვის.

ციაშის საგარდაოს უბნის მცხოვრებთა სახელით:

ნ. მეუნარგია
ა. გარდაბა
თ. კილასონია
ს. გარდაბა
ა. ასათიანი.

ვიფიქროთ ამაზეც

მეცხოველეობა — 90

პროდუქციის გაიაფებით

მიმდინარე წლის შვიდი თვის მონაცემებით ნარაზენის კოლმეურნეობაში გადამეტებითაა შესრულებული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებები.

გეგმიური 212 ტონის ნაცვლად წარმოებულია 239,8 ტონა რძე. სახელმწიფოს მიეყიდა 214 ტონა რძე, ანუ გეგმიურზე 18 ტონით მეტი.

გადამეტებითაა შესრულებული ხორცის ჩაბარების დავალება, 56 ტონის მაგიერ ჩაბარებულია 58,2 ტონა, ხოლო 18 ტონის ნაცვლად წარმოებულია 28,2 ტონა.

ფერმაში უყლიან 556 სულ მსხვილფეხა საქონელს, ანუ გეგმიურზე 16 სულით მეტს. ხბო მიღებულია გეგმიურზე 13 სულით მეტი. სადღეღამისო წონამატი 395 გრამია, რაც საგრძნობლად სჯარბობს გეგმიურს.

აღნიშნულ წარმატებებში არის აქ დასაქმებულთა მერაბ და ბესიკ ბერიშვილების, მერი ჯიქიას და სხვათა განსაკუთრებული წვლილი.

კოეტის საიუბილეოდ

ყური მივუგდოთ დიდ აკაკის

ეროვნულ - განმანთავისუფლებელ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძეს და სხვა სახელოვან თერგდალეულებს მხარში ედგა ერის სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი. მგოსანი თავის ღვთით კურთხეული მუზით შეუპოვრობით ებრძოდა თავისი სათაყვანებელი მამულის მოსისხლე მტრებს. დიდი იყო მისი სატირული სტრიქონების მამხილებელი ძალა. იგი ერთნაირი სიხასტიკით აშიშვლებდა როგორც ხილულ, ისე ფარულ მტრებს. პოეტის მახვილი მიმართული იყო იმ ბნელი და მოშურნე ძალების მიმართ, რომლებიც პირზე ღიმილფენილი სიტყვით ერთგულებას გვეფიცებოდნენ, საქმით კი მზაკვრული ფანდებით გვიმასპინძლდებოდნენ. ამდაგვარ ნიღბოსნებს, ვერაგი სულის ადამიანებს პოეტი არა მარტო რუსეთის შავრაზმული პოლიტიკის ერთგულ ცერბეროა შორის ხედავდა, არამედ თავისივე ჯიშისა და ჯილაგის სალხში, და ეს გულს ტკენდა, მწარე ნაღვლით სულს უფორიაქებდა დიდ პოეტს. ამის საილუსტრაციოდ მგოსნის ერთი ჩვეულებრივი, ნაკლებად გახმაურებული, მაგრამ მიზანში მსროლელი ლექსი „გამოტეხილი სიტყვა“ გამოდგება. აი, რას წერს პოეტი:

„გზადაბნეული, როგორც რომ
ცხვრები,
მივდივართ, მიეხტით, არა გვყავს
მწყემსი;
დიდგულას თოფი ზარბაზნად
მიგვაჩნს
და დიდ მახვილად პატარა ნემსი.
აღარ დავეძებთ შინაურობას,
სხვებისგან ველით ხაიმედოს,
შორს...
ერთმანეთს ვხოცავთ, ერთმანეთს
ვიკლებთ,
დავემსგავსენით „ოთოთაანთ
ქორს“.
მტერსაც ეს უნდა, ეს არის
მხოლოდ
ბანზე ხელმარჯვედ ბურთის
აგდება.
ჩვენ რომ ერთმანეთს ყველა
შევაწყდეთ,
ამითი იმას რა დავაკლდებოდ?“

პოეტის ამ წუხილმა დღეს ზარივით უნდა ჩამოკრას ყველი ჩვენგანის გონებას, ისტორიულ მეხსიერებას. ნუთუ დადგა დრო, რომ ქართველებმა ჩვენს ოდინდელ ნაკლს ერთმანეთისადმი შულს მოშურნეობას საბოლოოდ [illegible] რგი ვაქციოთ და ერთმანეთ[illegible] სიყვარულით და თანალმ[illegible] აღვივნოთ? დროა, ღმერთმ[illegible] მოვაშოთოთ ჩვენს შორის [illegible] მოწრიალე განხეთქილების [illegible] მონი და ერთიანი ძალ[illegible] ევა მივმართოთ საქართველ[illegible] მოძალადეთა მიმართ. მხოლ[illegible] ამ გზით მოვიპოვებთ სულ[illegible] შვებას. დიდი აკაკიც ხომ ამ[illegible] თვის გვმოძღვრავს:

„არა ჩვენ უნდა ჩვენი ბორკ[illegible] შეერთებულად ჯერ ავიყაროთ[illegible] და მერე უნდა „ძმობა-ერთობ[illegible] და თანსწორობით ჩვენც
გავიხაროთ“.

ყური მივუგდოთ, გულით [illegible] ვენდოთ უკვდავი მგოსნის [illegible] ილ შეგონებას, თანამემ[illegible] ნოს.

ბ. ალა[illegible]

წიგნის სამყაროში

ბრძენთა კრებული — ოთხი ათასამდე ავტორის ნაზრევი

გამომცემლობა „საბჭოთა ხელოვნებამ“ კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნი შესძინა მკითხველებს. ესაა აკაკი გელოვანის მიერ შედგენილი „სიბრძნის სიმფონია“, რომელიც შეიცავს ოთხი ათასამდე ავტორის ნაზრევს — აფორიზმებს, ხატოვან თქმებს, სხვადასხვა დროის გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების ქმნილებებიდან შერჩეულ სიბრძნეს.

გონებას ამდიდრებს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, სულხან საბა ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ივანე ჯავახიშვილის, ილია ჭავჭავაძის აზრთა გენია.

ბერძენ პოეტთა პატრიარქი ჰომეროსი შეკვახსენებს „გაბედული და თამამი კაცი აღწევს ყოველთვის სანუკვარ მიზანს“. შრომის დიდებას უმღერის ჰესიოდე „უსაქმო კაცი ყოველთვის საძულველია, სირცხვილია ერის უქმად ყოფნა. შრომა კი ჯერ“.

სოკრატეს სჯერა, რომ „სიკეთე სხვა არაფერია, თუ არა სიამოვნება, ბოროტება კი — ტანჯვა“.

ჰიპოკრატე გვმოძღვრავს: „ვისაც სურს შეინარჩუნოს შრომისუნარიანობა, ჯანმრთელობა, სრულფასოვანი და ხალისიანი ცხოვრება, ყოველდღე უნდა იკარჯოს და იაროს“.

ორატორული ხელოვნების შედევრების ნიმუშია ციცერონის სიტყვები: „თავისუფლების ადგილი მხოლოდ იმ საზოგადოებაშია, სადაც უზენაესი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის“.

ს. ეიზენჰაუერმა საქართველოზე თქვა: „არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი აღტაცება ქართველი ერისადმი, თაყვანს ვცემ საქართველოს და მწამს, რომ ესაა დიდი ქვეყანა, სადაც დიდი ერი ცხოვრობს“.

კრებულში უხვადაა წარმოდგენილი ილუსტრაციები. წიგნს ერთვის საჭირო განმარტებანი, ლექსიკონი, სახელთა საძიებელი, ეს კი უადვილებს მკითხველს აფორისტული მეტყველების არსში ჩაწვდომას.

კლ. ფაჩუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა-პაპათა ხელოვნის კვალში

თვითნაკეთი ნივთის სხვანაირი ხიგლი

ახლანდელ ხანდაზმულებს კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ქალაქად, თუ სოფლად იშვიათობას არ წარმოადგენდა მჭედელი, თუ ხარაზი, მეთუნუქე, თუ დურგალი. გამოძებნიდნენ მოხერხებულ ადგილს, შიგ ჩადგამდნენ სახელოსნოს და გამართავდნენ ნამდვილ ხალხურ რეწვას, რომელიც ასე საჭირო იყო მშრომელი კაცისათვის. ყოველდღიური მოხმარების საგნების დეფიციტს ეს ხელმადლიანი ოსტატები ავსებდნენ. სინდის-ნამუსით, გაუტეხელი პირით ქებულნი იყვნენ და ამიტომაც გარს ეხვიათ დიდძალი კლიენტები. ერთი სიტყვით, მათ შრომას ფასი ედო. ამდაგვარი მამა-პაპაური ხელსაქმის კერებს თავისი ბიბლი და კოლორიტი ჰქონდა.

მერე, თანდათან ურბანიზაციის პროცესმა ხამოქმედო არეალი შეუვიწროვა მათ. პრაგმატულმა საზოგადოებამ მათი ნაკეთობისადმი დამოკიდებულება შეცვალა. მაგრამ ნოსტალგია წარსულზე და ოქროსხელება ხელოსნებზე მაინც არ განელებულა. პირიქით, ახლა ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებულ აუცილებელ და საჭირო სამეურნეო საგნებზე ისევ მოთხოვნილების ბუმია და წარმოების შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესის კვალობაზე ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი ხალხური საქმის ოსტატებს.

დღეს ერთერთ მათგანზე მოგიყვებით. ეს გახლავთ ალიოშა მესხია, რომელიც აგერ უკვე 69 წელზე მეტია სამჭედლოში მუშაობს. მას ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მექანიკურ საამქროში ერთერთ წამყვან ძალად სახავენ. უფრო მეტიც, როგორც გაირკვა, იგი მთელს ქალაქში ერთადერთი კაცია, ვინც გავარვარებული რკინიდან სხვადასხვა სახის ნაკეთობებს ამზადებს.

პატივცემული ალიოშა ენაწყლიანი მოხაუბრე გამოდგა. ჩვენი შეხვედრაც დიალოგის სახით წარიმართა. ხალისით გაგვცა პასუხი რამდენიმე კითხვაზე, რომელიც დავუსვეთ:

ცოტა რამ პირველ ნაბიჯებზე. როგორ ეზიარეთ არჩეულ ხელობას?

—სოფელ ჩხორიაში ცნობილი მჭედლები—რაჭველი კობალაძეები იყვნენ. მამაჩემმა 14 წლის ბიჭი მათთან მიმაბარა. შეგირდობის სავალდებულო ხანა წლის მერე დამოუკიდებლად გაკეთებერიკაცს მიბარია ის გარემოება, რომ ბოლო ხანებში ყველა სახის ხელოსანს თავისუფალი შომის შეტი ასპარეზი მიეცა.

—ბატონო ალიოშა, რა არის სამჭედლო და თვითნაკეთი ნაწარმის სარეალიზაციო პუნქტი. მას აქვთ, აგერ ექვს ათეულ წელზე მეტია გრდემლთან და საბერველთან ვდგევარ. ჩემს მიერ გამოკვერილ თობზე, ნაჯახზე, წალდზე, ცხენის ნალებზე და სხვა აუცილებელ ყოფით საგნებზე დღემდე დიდი მოთხოვნილებაა.

—რა მიგაჩნიათ იმის მიზეზად, რომ ხალხური მეწარმეობა ასე ძნელად, უხალისოდ აღწევს თავს მივიწყების უძრავი ზონიდან?

—წლების მანძილზე მოქმედი, ყოვლად გაუგებარი ადმინისტრაციული არტახები, შეზღუდვები ბოჭავდა ამ საქმეს. ამან კი თავის მხრივ ახალგაზრდებს გული აუცრუა ამ ძირძველ ხელობაზე.

ის საჭირო იმისათვის, რომ მამა-პაპური ხელობა მთელი სისავსით აღორძინდეს?

—უპირველეს ყოვლისა ის, რომ სხვადასხვა კაბინეტებში მსხდომმა უფროსმა ამხანაგებმა შეიცვალონ დამოკიდებულება აღნიშნულ სფეროში მომუშავე პირების მიმართ. თუ კაცი რაღაც საჭირო, პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა, მასში მტერი კი არ ეძებოს, არამედ ქვეყნისათვის სარგებლობის მომტანი კაცი. ყოველი ხელობა ღვთიური მადლით ცხებული საქმეა და მას უნდა პატივი მივაგოთ. გავუფრთხილდეთ. სწორედ ამ თითოეულ ადამიანებმა უნდა გაუხანგრძლივონ სიცოცხლე სახალხო მეწარმეობის შორეულ ფესვებს, რომელთაც საოცარი რუდუნებით ეკიდებოდნენ ჩვენი შორეული წინაპრები. ამ მხრივ, მადლობა ღმერთს, უურადღება მეტია, გამოჩენდნენ პირები, რომლებიც ხელნაკეთობათა ოსტატების საქმიანობას ყოველნაირად უწყობენ ხელს. გარკვეულ იმედებს ვამყარებ ახალგაზრდა იური კალანდიაზე, რომელიც კარგად დაეუფლა ხელობას და შესაშურ სიბეჯითესაც იჩენს, ოღონდ ეგაა. ორნი ვერ ვწვდებით მოზღვავებულ სამუშაოებს. აკი სამჭედლოც იმიტომ ქვია, მინიმუმ ორი კაცი მაინც უნდა ედგეს გვერდით ოსტატს. ჩვენი ხელმძღვანელობა ამ მხრივ დახმარებას აღვიქვამს და იმედია არ გამაწბილებენ.

თქვენ ახალ ცვლაზე შემეკითხეთ. ვერ არის ამ მხრივ მთლად სასიკეთოდ საქმე. ოშვიათად ვხედავ ახალგაზრდებს, აქეოკენ რომ მოუწევდეთ გული. აი, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ მათ მიზიდვას და ჩაბმას მამებისა და პაპების მიერ დატოვებულ ტრადიციულ საქმეში. მინდა გულწრფელად ვუთხრა მათ, რომ ჩვენს ხელობაში სარგებელსაც ნახავენ და შინაგან კმაყოფილებასაც.

ჯ. თელია.

კიდევაც დაიზრდებიან...

იმრავლეთ, ქართველო ქალ-ვაჟებო!

მოუთმენლობისა და ლოდინისგან სახე მოთენთოდათ შეკრებილებს. დაძაბულობა მახასიათებელმა გაფანტა: „ბიჭიო!“, გაიხარეს მომლოდინეებმა. სრულიად უნებურად გამახსენდა: როდესაც მდიდარმა რომაელებმა – ღარიბს სთხოვეს ეჩვენებინა თავისი სამკაულები, მან გამოიყვანა თავისი შვილები და თქვა: „აი, ჩემი სამკაულები და მორთულობანიო“. მართლაც სხვა რა უნდა იყოს ერისა თუ კაცის სიხარული, თუ არა შვილები, სხვამ რამ უნდა ასუნთქოს და აცოცხლოს. ბევრი შვილი თვალუწვდენელი საუნჯეა. დღეს ყველაზე მეტად მოგვიხდება ამ სიმდიდრის გამოყენება.

დემოგრაფიული პრობლემა ხა ქართველოში არ ახალია, მაგრამ დღეს მით უმეტეს. სიტუაციაში გასარკვევად რაიონული ხაავადმყოფოს სამეანო განყოფილებას მივმართეთ, სადაც შევხვდით გამგეს ე. ჩერქეზიშვილს. ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა, რაც იქ შევიგრძენი. სულ 6 თვეში 1211 ახალი სიცოცხლე შემატებია საქართველოს, მაშინ, როდესაც ადრეულ წლებში წელიწადში მხოლოდ 2000-მდე ჩვილი იბადებოდა...

ხაავადმყოფოში მოდიან არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ მახლობელი რეგიონის პაციენტებიც. ტარდება რთული ოპერაციებიც და საკმაო წარმატებითაც. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ თითო სიცოცხლე შეინარჩუნონ. ე. ჩერქეზიშვილმა ერთი მეტად საინტერესო შემთხვევა აღნიშნა, როდესაც ორჯერ იქნა ჩატარებული ურთულესი ოპერაცია, რათა თითქმის მკვდარი ჩვილი მოებრუნებინათ. მიზანსაც მიაღწიეს, იხსნეს განსაცდელისგან ერთი პატარა ქართველი.

იმედი მოგვცა: გავმრავლდებით, უთუოდ გავმრავლდებით და „ჩვენი იქნება მთელი ქვეყანა“. მოვლენ დიმიტრი, ილია, გიორგი, სბა... კიდევაც დაიზრდებიან, კიდევაც დაფრთიანდებიან.

წამოსვლის წინაც კიდევ ერთი ქართველი შეემატა ქვეყნიერებას, ქალი, მომავალი დედა. იქნებ თამარი; ქეთევანი. ან ნინო. საოცარი დამთხვევაა, სტუმრად მისულებს ბიჭი შემოგვეგება, უშიშარი ქართველი ვაჟკაცი, გაცილებით კი ქალმა გამოგვაცილა, ქართველი მანდილი, დაგვიფრიალა.

იმრავლეთ, ქართველო ქალ-ვაჟებო, იმრავლეთ!

რუსუდან მიქელაძე.

გამოვიდა ახალი გაზეთი „7 დღე“

გამოვიდა ახალი, ყოველკვირეული გაზეთი „7 დღის“ პირველი ნომერი. იგი იხსნება წერილით: „სიტყვა მკითხველს“, რომელშიც ნათქვამია: „7 დღე“ თავისუფალი ნაბრეგის ტრიბუნაა. მის ფურცლებზე ყველას შეუძლია თავისი პოზიცია წარმოადგინოს, თუ რა თქმა უნდა, ეს მართლაც პოზიციაა და არა პოზა, ჯანსაღი განსჯაა და არა ამბიცია, გულწრფელი დიალოგია და არა ვინმესთან კინკლაობა-ანგარიშსწორება. ჩვენი მთავარი ორიენტირი მკითხველის რეაქცია იქნება, ყველაზე უტყუარად ის დაგვაკვალიანებს. როგორი გაზეთი უნდა მას—მკვეთრად გამოხატული მიმართულებისა და ყოველის მომცველი და ამსახველი, ნეიტრალური თუ რადიკალური. მაგრამ ერთი კი: მხოლოდ სიმართლე! სიმართლის მთქმელობას ბევრი იზემებს, ოღონდ უმრავლესობა თავის სიმართლეს გვთავაზობს, იმას, რასაც თვითონ მიიჩნევს სიმართლედ. სიმართლე კი არ შეიძლება რამოდენიმე იყოს. სიმართლე მხოლოდ ერთია და ჩვენს ძალისხმევას მას ძიებასა და შენთან მოტანას მოვახმართ, მკითხველო“.

გაზეთში მკითხველი გაეცნობა შემდეგ მასალებს: „ნინო გეგეჭკორი—ლავრენტის საქმეში არასოდეს ჩავრეულვარ“, „იური აფანასიევი—პოლიტიკურ პარტიებს არა აქვთ მომავალი“, „გიზო ნიშნიანიძე—სასჯელის უმაღლესი ზომა—სიცილი“, „ია მუხრანელი—საქმე №12537, ანუ წამების 48—საფეხური“ და სხვა.

ახალი გაზეთი უდაოდ დაინტერესებს ჩვენს მკითხველებს.

სპეციალური ნაშრომი ლევან მეორე დადიანის შესახებ

ახლახან გამომცემლობა „მეცნიერებამ“ 50000-იანი ტირაჟით გამოსცა ჩვენი თანამოქალაქეების საქ. მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ილია ანთელავის მონოგრაფია —„ლევან მეორე დადიანი“. სამეგრელოს ეს მთავარი ყოველთვის წარმოადგენდა ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა ყურადღებისა და შესწავლის საგანს. ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არა ერთი მკვლევარი შეეხო ლევან დადიანის რთულ, წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნებას, მის მიერ გატარებულ მრავალმხრივ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ ღონისძიებებს. საერთო ჯამში ყველა ისტორიკოსი ლევან დადიანს იხილავდა ზოგადად, ანცალ-ცალკე, ამა თუ იმ მოვლენასა თუ ფაქტთან მიმართებაში. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ყველაზე თანმიმდევრულ გამოცემაში, როგორიცაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, სამეგრელოს ამ მთავრის მოღვაწეობა მთლიანობაში შეფასებულია როგორც რეაქციონერი ფეოდალის მოღვაწეობა. ამის შემდეგ ჩვენს ისტორიოგრაფიაში რატომღაც დამკვიდრდა ეს შეფასება და ასეთი აზრი სტატიიდან სტატიაში, იგნიდან წიგნში შეუცვლელად გადადიოდა. ამ მხრივ თავისი სიტყვა თქვა ილია ანთელავას ზემოთხსენებულმა ნაშრომმა, რომელიც წარმოადგენს პირველ მონოგრაფიას ლევან დადიანის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ილია ანთელავა ორ ათეულ წელიწადზე მეტია ნაყოფიერად მუშაობს მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ ისტორიაზე. ესაა განსაკუთრებული პერიოდი ოდიშის სამთავროს ისტორიაში, როცა ალ. სიმონ ჯანაშიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ოდიშის სამთავრო აღწევს „მანამდე არნახულსა და შემდგომ აღარ განმეორებულს ძლიერებას“.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ექვსი თავისაგან, დართული აქვს წყაროების და გამოყენებული ლიტერატურის სია. თავების მიხედვით განხილულია ლევან დადიანის მიერ გატარებული ღონისძიებები საშინაო თუ საგარეო სფეროში, ეკონომიკისა თუ კულტურის დარგებში. ავტორი ნაშრომის დასკვნით ნაწილში აღნიშნავს: „... მას სურდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ეს რომ განხორციელებინა, უდიდეს საქმეს გაეკეთებდა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და საგარეო ვითარების პირობებში ეს განუხორციელებელი აღმოჩნდა... ამ ნიჭიერმა და კოლორიტულმა ფიგურამ ვერ მოიტანა ის სარგებლობა, რაც უკეთეს დროსა და პირობებში ნამდვილად შეეძლო ქვეყნისთვის მოეტანა“.

დაინტერესებული მკითხველი ნაშრომს ინტერესით გაეცნობა.

ზაალ ჟორთუა,
სამეცნიერო ცენტრის —ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

სასამართლო დარბაზიდან

სანამ ბოროტმოქმედთა „საგმირო საქმეებზე“ გიამბობდეთ, თქვენი ნებართვით, გვინდა მსხვილი პლანით გაგაცნოთ დამნაშავე სამეულთაგან ერთ-ერთი —თეი-

თავს სინანულიკ სჯობია...

მურაზ ვალერის ძე აფხაზავა, რამეთუ მისი ცხოვრების გზა 1978 წლიდან დღემდე ერთი შრომა-გასწორების კოლონიდან მეორე კოლონიამდე, ერთი ციხის კარიდან მეორე ციხემდე გადის. სამწუხაროა და გულსატკენი ეს ეკლიანი გზა არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ, ზოგადეროვნული თუ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით-კ. ჭურდობისა და ძარცვა-ყაჩაღობისათვის ბარე ზუთგზის ნასამართლევი და „გამასწორებელ“ დაწესებულებებში სულგაუხეშებული პიროვნებანი გამოდგებიან კი მომავალი, თავისუფალი საქართველოს ღირსეულ, მამულის მოვირნახულე მოქალაქეებად? ღმერთმა ქნას, ვინძლო უნიადაგო ალმოჩნდეს ჩვენი დაბმვება! ახლა კი კონკრეტულ ფაქტზე.

ქალაქ ზუგდიდის კოსტავას ქუჩა №3-ში მცხოვრებმა თეიმურაზ აფხაზავამ, ალექსანდრე ივანეს ძე მეედლიშვილმა და ჭაქვინჯელმა დიდდობერის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ გოდერძი ვაუას ძე ჩუხუამ ამა წლის 11 თებერვალს, იყვნენ რა ზარხოშად, ადაილოებით 18 საათზე ქალაქის ცენტრში გაიარეს ტ. ჯუშოშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ და მძღოლს რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიყვანა სთხოვეს. ქალაქის ცენტრიდან რესპუბლიკურ საავადმყოფომდე არც ისე დიდია მანძილი, მაგრამ წინასწარ საავკაცოდ „მომართულმა“ სამეულმა გზაში თავისი ჩანაფიქრი „ოპერატიულად“ გადაწყვიტა— აფხაზავამ და მეედლიშვილმა მძღოლს დანა მიაბჯინეს და წაართვეს 170 მანეთი, მართვის უფლების მოწმობა და ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი. ამის შემდეგ ბოროტმოქმედებმა მძღოლი უკანა სალონში გადასვეს, საჭეს გ. ჩუხუა მიუჯდა და გაემგზავრნენ ჩხოროწყუში. აქ აფხაზავამ ერთ-ერთი ოჯახიდან გამოიტანა ღვინო და გეზი სენაკისაკენ აიღეს. ღვინო ჭამეთ და გზაში საკმაოდაც წაიჭიეფეს. სენაკიდან მობრუნებულებმა ხობის რაიონის სოფელ ხეთაში კოოპერატიულ კაფე „ნარნართან“ დასცეს ბანაკი საავკაცოდ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აფხაზავამ და მეედლიშვილმა შეაღწიეს კაფეში და მოიპარეს ფირსაკრავი ხმისგამაძლიერებელითურთ. შემდეგ? შემდეგ ქალაქ ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან ჩამოსვეს ავტომანქანის პატრონი ჯუშოშვილი. მასთან ერთად ჩამოვიდა ა. მეედლიშვილიც. გ. ჩუხუამ თ. აფხაზავა მიიყვანა ბინაში. მოპარული ნივთები აფხაზავამ წაიღო, ხოლო ჩუხუამ ავტომანქანა ჭაქვინჯისაკენ გაიქროლა, ამ უკანასკნელმა ვოიაჟი იმით დაამთავრა, რომ ავტომანქანას მოხსნა სამი ცალი საბურავი და ტუეში გადამალა...

ნათქვამია: მადა ჭამაში მოდისო და ეს ერთი „საქმე“ რომ „შერჩა“, რამდენიმე დღის შემდეგ თ. აფხაზავამ ანალოგიური ხელწერით კვლავ ჩაიდინა დანაშაული. კერძოდ, ავტომანქანაში ჩაუჯდა მოქალაქე მ. შენგელიას და ძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, დანით მუქარის ქვეშ წაართვა მძღოლს 22 მანეთი, 300 მანეთად ღირებული ოქროს ბეეედი, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და მართვის მოწმობა. ავტომანქანის პატრონმა გაქცევით უშველა თავს. ამის შემდეგ ძიებით დაუდგენელმა პირმა, რომელიც მართანვდა მ. შენგელიას კუთვნილ ავტომანქანას, თბილისის ქუჩაზე მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა. მძარცველები შემთხვევის ადგილიდან გაუჩინარდნენ.

მაგრამ, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა. ბოროტმოქმედები დააკავეს.

ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლომ ჯ. მორგოშიას თავმჯდომარეობით განიხილა აღნიშნული საქმე და თეიმურაზ აფხაზავას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით. 6 წელს დაჰყოფს გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში ალექსანდრე მეედლიშვილი, ხოლო გოდერძი ჩუხუას შეეფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითს კოლონიაში მოხდით.

გარჯით დაფასებული

სასახელო ჭართული ოჯახი აქვთ ჩვენს თანაქალაქელ ნიკოლოზ და მარო (მაცა) აფაქიძეებს. ოჯახის უფროსი ნ. აფაქიძე 60 წელზე მეტია იღვწის საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემაში. მან მეტად შინაარსიანი გზა განვლო მუშიდან დირექტორის თანამდებობამდე. 30 წელი ედგა სათავეში წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობის დიდ კოლექტივს, დამსახურებულად იმკიდა მშრომელთა სიყვარულსა და პატივისცემას. აქვე, 1983 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიაზე გასვლიდან დირექტორის მოადგილეა.

ნ. აფაქიძე ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორდენებით, მრავალი მედლითა და სიგელით.

ნიკოლოზ და მაცა აფაქიძეების ოჯახმა ექვსი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი ორი ინჟინერი, ორი პედაგოგი, აგრონომი და ექიმი აღუზარდა სამშობლოს; ოთარი თბილისში ერთ-ერთი სამშენელო ტრესტის მმართველია, კოტე ავტოგაერთიანების დირექტორი, ლია ბაგა-ბაღის გამგეა, მარინე საშუალო სკოლაში უცხო ენებს ასწავლის, გურამი აბასთუმნის ტუნგის მეურნეობას უდგას სათავეში, ხოლო ნონა ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი გახლავთ. ბედნიერ ოჯახს ყავს 12 შვილიშვილი და 3 შვილთაშვილიშვილი.

ბედნიერება ნუ მოკლებოდეთ!

ვ. ნორაკიძე.

მივხედოთ ფმინდა ადგილს

ერთ დროს ქალაქში „ნათუოუმეს“ სასაფლაო (ჯვარის გზის დასაწყისთან), ერთ-ერთ კეთილმოწყობილად ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც სოხუმის გზაზე გრანდიოზული ხიდი გაკეთდა, სასაფლაოდან წყლის გასასვლელი არხი გადაიკეტა, რის შედეგად ნახევარზე მეტი ტერიტორია ზაძთარ-ზაფხულ წყლით იტბორება. ამის გამო ჭირსუფლებმა ინტენსიურად დაიწყეს სასაფლაოების ერთ მეტრზე ამაღლება. პერამიდებივით აღიმართნენ ორსართულიანი სამარხები. ამან კიდევ უფრო დატბორა ჩვეულებრივი სამარხები. რა ქნან, ვისაც არ გააჩნია სათანადო სახსრები და საშუალება?

აღნიშნულზე ჩვენს გაზეთში გასულ წელსაც იყო კრიტიკული წერილი გამოქვეყნებული, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია,

ვიმედოვნებთ, ქალაქის საწესჩვეულებო მომსახურების მესვეურები ამჟამად მაინც გამოგვეხმაურებიან. „წმინდა ძვალთ შესალაგს“ მიხედვა უნდა.

ბ. ალშიბაია.

ზაფხული— 90

ისვენებენ, კაქდებიან

ჩემი ტყუპები იკა და ლიკა ჭიშკარიანები ქალაქ ზუგდიდის №3 ბაგა-ბაღის (გამგე თინა ქირია) აღსაზრდელები არიან. სხვა ნორჩებთან ერთად ისინი ამ ზაფხულს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მაჯხურში ისვენებენ და კაჟდებიან.

დედურმა გრძნობამ ვერ მომასვენა და ამ დღეებში მუხურს ვეწვიე ბავშვების სანახავად. გამეხარდა, როცა ვნახე, თუ როგორ ელოლიავებიან და სათუთად უვლიან თითოეულ აღსაზრდელს ბაგა-ბაღის მუშაკები. აქ ყველა პირობაა, რომ ნორჩებმა გონებრივი თვალსაწიერი გაიფართოვონ, მიზნობრივად გაერთონ და გაკაუებულ-გალაღებულნი დაუბრუნდნენ მშობლიურ ბაგა-ბაღს. ეს კი, უდავოდ, პერსონალის დამსახურებაა.

რ. თოდუა,

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხოვდია.

ბაზრობა-უბაზრო, ბაზარ-ეზეზი...

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

კოოპერატივ „ჯანმრთელობა 89“-ის სიახლე

კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89-ის“ ფილიალში მიღებულია სამკურნალო მცენარეები და მისგან დამზადებული ნაყენები.

კალანჩოეს ნაყენი —გამოიყენება სტომატოლოგიაში, გინეკოლოგიურ პრაქტიკასა და ქირურგიაში.

ალოეს სიროფი რკინით—რომელიც წმინდავს სისხლს, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავს და გამოიყენება ანემიის დროს.

პოლ-პოლა გამოიყენება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმელების, საშარდე ბუშტის, გასტრიტის დროს. ხელს უწყობს თირკმელში და საშარდე ბუშტში კენჭების დაშლას, მოქმედებს როგორც ძლიერი შარდმდენი.

ტრიფოლის ფოთოლი —უმადობის დროს განსაკუთრებით მოხუცებსა და ბავშვებში.

დათვისყურა— შარდმდენი, ცისტიტის და პიელიტის დროს.

კლანტაგლუციდი — გასტრიტის, კუჭის წყლულის და დაბალი მჟავიანობის დროს.

კაფიოლი— კუჭის გამხსნელია.

სიმინდის ულვაში —ხოლეცისტიტის, ენტეროკოლიტის, ხოლანგიტის დროს ხელს უწყობს თირკმელში კენჭის დაშლას.

მოცვის ფოთლის— ნაყენი უებარი წამალია დიაბეტებისათვის.

ეუკალიპტის ფოთოლი კი— ანტისეპტიკური საშუალებაა.

ბიხტი ზეთი— კურნავს 25 დაავადებას.

თირკმლის ჩაი— რეკომენდირებულია კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, დიაბეტის, თირკმლის, მარილების დაშლის, ნერვული სისტემის მოწესრიგების, უძილობის და სხვადასხვა დაავადებების დროს.

შეგიძლიათ შეიძინოთ ყველა ზემოთჩამოთვლილი სამკურნალო ბალახი და მცენარეები კოოპერატივ „ჯამრთელობა—89-ის ფილიალში; რომელიც მდებარეობს ზუგდიდის რკინიგზის ტერიტორიაზე ჩელუსკინელების ქ. №6-ში.

კოოპერატივი მალე მიიღებს სხვადასხვა სახის სამკურნალო ბალახებსა და მცენარეებს.

მეუღლე ილიკო, შვილები: ხვიჩა. ნანი. ინგა. დედასთილი დუსია, დები: გენერა, ვერონიკა, ფენია. სიძეები: ენვერ ყოლანდარია, რადიონ მინჯია, ბიქიკო ჯორბენაძე, გვანჯი ზონია, შარგუმანი თორდია, მეულები: მოლია. დოდო. მაზლები გივი, არმაზი, რუზგენი ჯიქონაიები. რძლები: ნინო. ნაირა. ლეილა. ნატო, დისშვილები. მაზლიშვილები, მეულიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

გული გიგოს ასულ თოდუა-ჯიქონაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, 11 აგვისტოს, დაკრძალვა 12 აგვისტოს სოფ. ოდიშში (ქალინინის უბანი).

შვილები: ბოჩო. კუკური. მურმახი. გონელი, თენგიზი ჭეკეები. რძლები ზოია ჩახაია. ლუიზა ცანავა, მედიკო გელია, ოლია, ნათელა, ეუეუნა ჯოჯუები, დები: თამარა. ეთერი ჯოჯუები. მეულები თებრო. ლიდია. ივლიტა, ლუბა ჭეკეები, შვილიშვილები პაატა ლალი. ლელა. ნინო. ქარეხი, ინგა, ირმა, ეკა. ,გიორგი ჭეკეები, ძმისშვილები, დისშვილები, მეულიშვილები ოჯახებით იუწყებიან

ბუცა დოტოს ასულ ჯოჯუა-ჭეკეიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 აგვისტოს, დაკრძალვა 9 აგვისტოს ინგირში. გამოსვენება დადიანის 10.

მეუღლე ნელი, შვილი ზაზა, დედა ნარგიზა. მამა შუხუხი, და ლარისა. დისშვილები თეა. ლერი ბუწყებიან, რომ გარდაცვალა

დურმიშხან შუხუხის ძე გაბისონია.

პანაშვიდი 9. 10 აგვისტოს. დაკრძალვა 11 აგვისტოს ს. ხეთაში (ხობის რაიონი).

მეუღლე ვალიკო. შვილი დემეური. რძლებმ: ნონა. პაჭუ, ანგელინა. ციალა. დოდო. შვილიშვილები: ჯონი. ჯიმი, დები: ლუბა, ლენა. ნათელა. ნეცა-ძმები: ვალოდია, გივი ტარიელი ღუნჯილიები. სიძეები ჯაკო ადამია, ავთანდილ ქვარაცხელია. იური ჯიქია. ოროდი თოდუა. მაზლი ამირან თუზბაია. ძმისშვილები. დისშვილები, ბიძაშვილები, მაზლიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

თამარა იულონის ასული ღვინჯილია-თუზბაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 აგვისტოს. დაკრძალვა 12 აგვისტოს სოფ. ახალკახათში.

მეუღლე შურა, შვილი თემური, და ლუდა, ძმა მირი. რძლები: მზია, ნატო. ცოლისდები: თათუშა, მარუსია. ცოლისძმა მიშა მიმინოშვილი, დისშვილები: მარინა, ნანა, შვილიშვილები: ინგა. ნუგზარი, ქრისტინე. მამიდაშვილები: ნელი. გურამი, კოტე. ანზორი ,ოჭიები. ბიძაშვილები: ,ოული. მამია, ნანული, გურამ ნარსიები იუწყებიან

ვალიკო ალექსანდრეს ძე ნარსიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 აგვისტოს. დაკრძალვა 12 აგვისტოს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. კალანდაძის 4.

მეუღლე ფენია. შვილები: მერი, სერგო, ნელი, სიძეები: ვაჟა შენგელია, ჯემალი ქვარაია, გონელი ცაავა, რძალი ნორა ჯანაშია, შვილიშვილები: გია, ზვიადი, მარიკა ქვარაიები. გიორგი შენგელია, ძმისშვილები: გოგი, ნუნუ, ზაური, ნათელა. დოდო. მირიანე. ნორა, დისშვილები: შურა, მარო, ლიმო კაკულები, ცოლისდა მარო ქარჩავა. ცოლისძმა ბორისი ქარჩავა. ქვისლი დათიკო წულაია. ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

არსენა ესტატეს ძე გულუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 აგვისტოს. დაკრძალვა 11 აგვისტოს სოფელ ხაბუმეში (ჩხოროწყუს რაიონი).

№2 ტრესტის ზუგდიდის საშენმასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან. რომ გარდაიცვალა ამავე საწარმოს მუშა

გოდერძი ბოჩიას ძე შენგელია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ № 52 ტელეფონები: რედაქტორის — 2-24 80. რედაქტორის მოადგილის— 2-35-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78 მშრომელთა წერილების 2 25 12 რადიორედაქციის —2 47-[illegible]

ხაკ. სსრ პუბლიკაციათა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 58 ტელეფონი 2-23 07 ტირაჟი 22000 შეკ. №3589